10308/3-81/21 2 11102021

10308/3-81/21
11-10-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

როგორც მოგეხსენებათ, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის შესახებ პოლიციის მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს უფარდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, როგორც კომპეტენტურმა და პასუხისმგებელმა უწყებამ:

1. საკანონმდებლო ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან 2 ოქტომბრამდე, რა ღონისძიებები გაატარეთ იმისათვის, რომ საარჩევნო კოდექსის აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში დანერგვა და 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე იმპლემენტაცია მომხდარიყო ეფექტიანად?
2. 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როგორ აფასებთ აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში მოქმედების ეფექტურობას, რა ხარვეზები დაინახეთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავთ მათ გამოსასწორებლად თქვენი კომპეტენციის ფარგლებში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 5 21 02964303

11/11/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ **ანა ნაცვლიშვილს**

ქალბატონო ანა,

2021 წლის 11 ოქტომბრის №10308/3-81/21 წერილში მოცემული პარლამენტის წევრის კითხვასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. საკანონმდებლო ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან 2 ოქტომბრამდე, რა ღონისძიებები გაატარეთ იმისათვის, რომ საარჩევნო კოდექსის აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში დანერგვა და 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე იმპლემენტაცია მომხდარიყო ეფექტიანად?
საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 პუნქტითა და 79-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგულირება ახლებურად აყალიბებს კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის შენობასთან მიმდებარე ტერიტორიაზე ზოგიერთ შეზღუდვას. მსგავსი შეზღუდვები ეფექტიანია და საარჩევნო პროცესს უწყობს ხელს. სწორედ შეზღუდვის პრაქტიკაში ეფექტიანად აღსრულებისა და ერთიანი პრაქტიკის გატარების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო ცესკოს მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსის („საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი - საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“) სამინისტროს თანამშრომელთა მიერ გავლა, რომელიც, მათ შორის, მოიცავდა განსახილველი ნორმის საკითხებს.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში მინისტრის სპეციალური ბრძანებით შეიქმნა ტერიტორიული ჯგუფები, რომლებიც, სხვა ფუნქციებთან ერთად, უზრუნველყოფდნენ კენჭისყრის დღეს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციის ეფექტიან აღსრულებას.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

2. 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როგორ აფასებთ აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში მოქმედების ეფექტურობას, რა ხარვეზები დაინახეთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავთ მათ გამოსასწორებლად თქვენი კომპეტენციის ფარგლებში?

საარჩევნო კოდექსის მითითებული ნორმა ეფექტიანია და ხელს უწყობს საარჩევნო პროცესის მშვიდ ვითარებაში ჩატარებას. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩება სათანადო ბერკეტები (პირველ ჯერზე გაფრთხილების მექანიზმი), რათა ნორმა, მათ შორის, აღსრულების ნაწილიც ეფექტიანად იქნეს გამოყენებული. პრაქტიკაში მის აღსრულებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არსებითი ხასიათის ხარვეზები არ გამოვლენილა.

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
დარახველიძე ალექსანდრე